ოქმი:**ო37. 3723111001**

თარიღი:**21/04/2023**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2023 წელი, 19 აპრილი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი ; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-*გ. ღურჯუმელიძე,* მოადგილე *ნ.* ბოლქვაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიულოცა აღდგომის დღესასწაული, მიაწოდა ინფორმაცია *ქვორუმზე,* 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შედეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც 33 -ხმით დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

25.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-არსებობდა შეთანხმება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევა მომხდარიყო საბიუჯეტო წლის მე-4 კვარტალში, რათა იგი ასახულიყო მომავალი წლის ბიუჯეტში, რა მდგომარეობაა ამ მხრივ? განმარტეს, რომ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევა კანონმდებლობით განსაზღვრულია ახალი საბიუჯეტო წლის იანვრის თვიდან, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია, მაგრამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, როგორც ერთ-ერთ საპილოტე მუნიციპალიტეტს შეუძლია ინიციატივის განხორციელება.

26.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრაა, აცხადებთ -ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მოსახლეობა გაჭირვებულია, ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრულად არ შესრულებულა, მუნიციპალიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვების პრობლემებს და სხვა, -ამ განცხადებას მოყვა ხმაური და ურთიერთ დაპირისპირება, ამავე ფრაქციის წევრმა გ. შარაშენიძემ უკმაყოფილება გამოთქვა ქობულეთი-საჯავახოს ცენტრალური გზის რეაბილიტაციის გაჭიანურების გამო. საბოლოოდ ფრაქციამ დატოვა საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“ წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ერთადერთია ქვეყანაში, სადაც სხდომები პარტიულ კინკლაობაში მიმდინარეობს, ხელი ეშლება პრობლემებზე მსჯელობას, რაც ამომრჩევლებისა და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს და საკრებულოს სახელს უტეხავს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყველა პარამეტრებით ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში და შეკითხვები დაუსვა თანამომხსენებელს-ანგარიშს უნდა დართვოდა რიგითი ამომრჩევლის და გადასახადის გადამხდელისათვის გასაგები ფორმით -ახსნა განმარტება. განმარტეს, რომ ანგარიში წარმოდგენილია კანონმდებლობის მოთხოვნით, მაგრამ ვერ მოხერხდა დაანონსებული ახსნა-

განმარტების დართვა.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე გ. ჩავლეშვილი ჯერ გამოეხმაურა თ. ნიკოლაშვილის განცხადებას და განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრულად იმიტომ ვერ შესრულდა რომ გარდამავალი იყო, რაც შეეხება ბავშვების პრობლემებს-მუნიციპალიტეტში აშენდა რამდენიმე თანამედროვე სტანდარტის საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბაღების უმრავლესობას და სხვა. რაც შეეხება განსახილველ საკითხს-კომისიამ იმსჯელა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე და მხარს უჭერს მას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე იმსჯელა საკრებულოსთან არსებულმა საზოგადოებრივმა დარბაზმა და რეკომენდაციას უწევს მის დამტკიცებას.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა ბიუჯეტის დამტკიცებას და ახლა აფასებენ მის შესრულებას, საკრებულოს ყველა სხდომაზე აწყობენ მასკარადებს, ამით ცდილობენ გადაფარონ პარტიაში არსებული პრობლემები, მათი პარტია ფინანსდება კრიმინალ კეზერაშვილის დანაშაულებრივად მობილიზებული თანხებით.

11.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პაატა კიღურაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებმა პ. კიღურაძემ და ბ. თოიძემ განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერენ მას.

27.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მას.

28.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში

წერეთლის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 26.26.40.118) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მას.

29.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

30.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

31.8. ევროპის საბჭოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

32.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრების გამოყენებით სახელდების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29-ხმით

10. ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენების, საიჯარო ქირის ამოღებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გამოყენების ეფექტურობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

11.ინფორმაცია 2022 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების და ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების და მუზეუმების გაწეული საქმიანობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ საინტერესო იყო ორი კომისიის წარმოდგენილი ჩატარებული მუშაობის შედეგები, გაჟღერებული იქნა ინოვაციური წინადადებები, რომლებიც გამოადგება აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ სტრუქტურების მუშაობის უკეთ ორგანიზაციაში, ჩატარებულ ღონისძიებებთან ერთად ნახსენები იყო საინტერესო კვლევები, რომელიც მნიშვნელოვანია, მადლობა გადაუხადა კომისიებს ამ ფორმატით შესრულებული სამუშაოების პირველად წარმოდგენისათვის, ამასთან ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ უკეთესი იქნებოდა კოლეგებს უფრო ეაქტიურათ და შეკითხვები დაესვათ მომხსენებლებისათვის.

12. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს: მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ -მიმდინარე თვის 23 რიცხვში, კვირას, რაგბის მატჩის თაობაზე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-ტ. აროშიძემ- ამავე დღეს, სოფელ კონჭკათში 70-ფრთა კოლხური ხოხბის ბუნებაში გაშვების თაობაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი